# მუსიკა

## მოსწავლის რვეული

III კლასი

სახელი ______________________________

გვარი ______________________________

სკოლა ______________________________

# სარჩევი

## I თავი – თემა: ქალაქისა და სოფლის ხმები

დავალება 1 – სამყარო ხმაურობს ... 8
დავალება 2 – გამოიცანით, რა ხმებია? ... 9
დავალება 3 – მატარებლის ხმა მუსიკაში ... 13
დავალება 4 – დაადგინეთ თანმიმდევრობა ... 16
დავალება 5 – შექმენით კომპოზიცია ... 17
დავალება 6 – ხმაურია თუ ზუსტი სიმაღლის ბგერა? ... 18
დავალება 7 – ხმისა და ბგერის ხანგრძლივობა ... 19
დავალება 8 – ქალაქის ხმები ... 23
დავალება 9 – კონცერტზე ... 25
დავალება 10 – სოფლის ხმები ... 27
დავალება 11 – სოფლის ხმები ... 30
დავალება 12 – ძველი ქალაქის ხმები ... 33
დავალება 13 – ქალაქის ძველი და ახალი უბნები ... 34
დავალება 14 – ძველი ქალაქის კუთხის დეტალები ... 38
დავალება 15 – გამოიცანით თანმიმდევრობა ... 41
დავალება 16 – ქალაქის ძველი და თანამედროვე უბნების მუსიკა ... 42
დავალება 17 – გამოიცანით თანმიმდევრობა ... 45
დავალება 18 – კომპლექსური ... 46

## II თავი – თემა: გასეირნება ქალაქსა და სოფელში

დავალება 19 – მარშრუტი სკოლისკენ ... 50
დავალება 20 – მუსიკალური ნაბიჯები ... 51
დავალება 21 – დაადგინეთ თანმიმდევრობა ... 55
დავალება 22 – მუსიკალური გასეირნება ... 56
დავალება 23 – შუქნიშანი – ჩვენი მეგობარი ... 58
დავალება 24 – გასეირნება მალაზიებში ... 60
დავალება 25 – მუსიკა და შენობა-ნაგებობები ... 62
დავალება 26 – ქალაქის მუსიკალური მარშრუტი ... 64

დავალება 27 – რონდო ... 66
დავალება 28 – ქალაქს ესტუმრა ცირკი ... 67
დავალება 29 – გასეირნება სოფელში ... 72
დავალება 30 – კომპლექსური ... 76

III თავი – თემა: ჩემი ცხოვრების ერთი დღე
დავალება 31 – დილის ხმები ... 80
დავალება 32 – როგორი დილაა? ... 81
დავალება 33 – მოწყენილია თუ ხალისიანი? ... 82
დავალება 34 – თამაში და სათამაშოები ... 84
დავალება 35 – კომპლექსური ... 86

## მოსწავლის რვეულის გზამკვლევად, აი, ეს ნიშნები გამოგადგებათ:

მოუსმინეთ მუსიკას 

შეასრულეთ დავალება !

უპასუხეთ შეკითხვას ?

ცოდნის სკივრი 

შექმენით მუსიკალური კოლაჟი 

# I თავი

## თემა: ქალაქისა და სოფლის ხმები

ამ თავში:

- მოვისმენთ ძველი ქალაქის ხმებს;
- გთავაზობთ მუსიკალურ მოგზაურობას შორეული აფრიკის ერთ-ერთ სოფელში;
- ხმითა და მუსიკით აღწერთ კონცერტს, მარკეტს, ქალაქის ქუჩებს, შენობებს, მაღაზიის ვიტრინებს...
- ვისაუბრებთ იმის თაობაზე, თუ რა ხერხებითა და საშუალებებით შეუძლია მუსიკას აღწეროს ესა თუ ის სიტუაცია.

## 1 დავალება

# სამყარო ხმაურობს

მოუსმინეთ, როგორ ხმებს გამოსცემს ტყე, ზღვა, ჭექა-ქუხილი, წვიმა... ცხოველები, ავტომობილები...

დაგვეთანხმებით, თუ ვიტყვით – ყველაფერი, რაც მოძრაობს, უთუოდ რაიმე ხმასაც გამოსცემს. ერთი სიტყვით, სამყარო ხმაურობს.



დაათვალიერეთ ნახატები. მოისმინეთ ხმები. გამოიცანით, რა ხმაა, სად შეიძლება ეს ხმა ჟღერდეს. ნახატებთან განთავსებულ რგოლებში ჩაწერეთ გაჟღერებული ხმის რიგითი ნომერი.









2

დავალება

## გამოიცანით, რა ხმებია?

შეგიმჩნევიათ, რომ ქალაქს თავისი რიტმი აქვს, რომელიც სხვადასხვა ხმით მიიღწევა? იცით, რომ არსებობს ხმაურითა და ხმებით შექმნილი მუსიკალური კომპოზიცია?..

!

მოუსმინეთ და გამოიცანით, რა ხმებია? თითოეული ხმა შეიძლება თავისი ნიშნით, სიმბოლოთი გამოისახოს. ჰოდა, შეეცადეთ და შექმენით ამ ხმების სიმბოლოები (ჩახატეთ მართკუთხედებში). დააკვირდით, როგორი ხმაა, წვრილი (მაღალი რეგისტრისა) თუ ბოხი (დაბალი რეგისტრისა), გაბმულად ჟღერს თუ წყვეტილად, დააკვირდით ხმის ჟღერადობის მიმართულებას – წვრილი ხმიდან ბოხისკენ ჩამოდის თუ, პირიქით – ბოხიდან წვრილისკენ ადის?









- რომელი ხმა იყო წვრილი (მაღალი რეგისტრის)?
- რომელი ხმა იყო ბოხი (დაბალი რეგისტრის)?
- როგორი სიმბოლოთი გამოსახეთ ავტომობილის ხმა?
  ა) წყვეტილი;
  ბ) გაბმული.

დაკვირვებიხართ, რომ სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებას განსხვავებული სიგნალი აქვს? შეგიძლიათ ამოიცნოთ ეს ხმები?



მოუსმინეთ სხვადასხვა სიგნალს და აქ დახატულ სატრანსპორტო საშუალებებს. რგოლში მიუწერეთ გაჟღერებული სიგნალის რიგითი ნომერი.







- რომელი სატრანსპორტო საშუალების სიგნალი იყო წვრილი (მაღალი რეგისტრის) ხმით?

_______________________________________________

_______________________________________________

- რომელს ჰქონდა ბოხი (დაბალი რეგისტრის) ხმა?

_______________________________________________

_______________________________________________

- რომელი სიგნალი შეუსაბამეთ მსუბუქ ავტომობილს? რგოლში ჩაწერეთ სიგნალის ნომერი: ◯
- რომელი სიგნალი გამოირჩევა წკრიალა ტემბრით? რგოლში ჩაწერეთ სიგნალის ნომერი: ◯
- რომელ სიგნალს აქვს უხეში ტემბრი? რგოლში ჩაწერეთ სიგნალის ნომერი: ◯
- რომელი სიგნალი მოგვიწოდებს: „ყურადღება, გზა!“ რგოლში ჩაწერეთ სიგნალის ნომერი: ◯

შეასრულეთ რიტმული ნახატები, რომლებიც მატარებლის მოძრაობას ასახავს.



გაისეირნეთ ქალაქის ქუჩებში და ხმის ჩამწერი მოწყობილობით ჩაიწერეთ თქვენთვის სასურველი ხმები. შემდეგ წარუდგინეთ თანაკლასელებს.

!



3
დავალება

# მატარებლის ხმა მუსიკაში



ამ სურათზე ძველებური ორთქლმავალია გამოსახული. დიახ, გაკვეთილზე უნდა მოისმინოთ მუსიკალური ნაწარმოები, რომელშიც ასეთი მატარებლის მოძრაობაა გადმოცემული.

წარმოიდგინეთ, თუ როგორ ნელა იწყებს ორთქლმავალი მოძრაობას, ეს არის მისი „მშვიდი სუნთქვა“. მოძრაობა ძლიერდება, სიჩქარე თანდათან მატულობს და ბოლოს ორთქლმავალი ისეთ მდგომარეობაშია, თითქოს, მიფრინავს.



ალბათ გაინტერესებთ, კომპოზიტორმა, **არტურ ონეგერმა,** ყოველივე როგორ, რა ხერხებით გადმოსცა? როგორ და, მის ხელთ იყო სხვადასხვა მუსიკალური საკრავი... ეს საკრავებია:



ვალტორნა





თეფშები

სიმებიანი საკრავები

მუსიკა ორთქლმავლის საყვირის ხმას სწორედ ამ საკრავების მეშვეობით მიემსგავსა.



მოუსმინეთ მცირე მოცულობის მოტივებს, რომლებიც ორთქლმავალ „პაციფიკ 231-ის“ ხან ბორბლების ბაგაბუგს, ხან კიდევ მისი საყვირის გუგუნს ასახავს. გამოიცანით, რომელ მოტივს რომელი სათაური შეესაბამება – რგოლებში ჩაწერეთ მოტივის შესაბამისი ნომერი.

| მოტივის განმარტება | გაჟღერებული მოტივის ნომერი |
|---|---|
| **მატარებელი დაიძრა** | ◯ |
| **მატარებელი სიჩქარეს უმატებს** | ◯ |
| **მატარებელი სწრაფად მოძრაობს** | ◯ |



• რომელ განმარტებას შეუსაბამეთ პირველ ნომრად გაჟღერებული მოტივი? რატომ?

• რომელ მოტივში გაიჟღერა მატარებლის საყვირის გუგუნმა? ამ მომენტში მუსიკა (მატარებელი) სწრაფ ტემპში მოძრაობდა, საშუალო ტემპში თუ ნელ ტემპში?

• რომელ მოტივში ჟღერდა მაღალი და რომელში – დაბალი რეგისტრის ბგერები? რას გამოხატავს თითოეული მოტივი?

• რომელ მოტივში შეიგრძნობა მიბაძვითი ინტონაციები? კერძოდ, რას ბაძავს ეს მოტივი?



# 4 დავალება დაადგინეთ თანმიმდევრობა



მოისმინეთ მსუბუქი ავტომობილების სხვადასხვა სიმაღლის სიგნალების სამი თანმიმდევრობა, დაადგინეთ, რომელია:

მაღალი-მაღალი-დაბალი;

დაბალი-მაღალი-დაბალი;

დაბალი-დაბალი-მაღალი

ხმების შესაბამისი ნახატი ხაზებით დააკავშირეთ აუდიოფრაგმენტის ნომერთან.



1-ლი სიგნალი



მე-2 სიგნალი



მე-3 სიგნალი

- გამოიცანით, რამდენი სხვადასხვა სიმაღლის ბგერა ჟღერდა?
- საყვირმა რა თანმიმდევრობით გააჟღერა ეს ბგერები?
- რატომ შეასრულეთ დავალება ამგვარად?

# შექმენით კომპოზიცია

**5 დავალება**

მასწავლებელი ბუკებში გადმოგიგზავნით სხვადასხვა სიმაღლის სიგნალების ხმა-სემპლებს. შეიტანეთ პროგრამაში LMMS, განალაგეთ ეს ხმები ისეთი თანმიმდევრობით, რომ გამოვიდეს რაიმე მელოდია. ბგერები შეგიძლიათ გაიმეოროთ იმდენჯერ, რამდენჯერაც დაგჭირდებათ. შექმნილი კომპოზიცია წარუდგინეთ თანაკლასელებს. წარდგენის დროს

**I. აღწერეთ**, რა სახის ქმედებები განახორციელეთ:

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

აღწერეთ ხმა-სემპლები, რომლებიც შეარჩიეთ:

______________________________________________

______________________________________________

**II. ახსენით** რომელი სიგნალი გაიმეორეთ  და რატომ?

______________________________________________

რამდენი სხვადასხვა სიმაღლის ხმა გამოიყენეთ კომპოზიციაში?

______________________________________________

რა თანმიმდევრობით გაჟღერდა ეს ხმები (მაღალი ხმით დაიწყეთ თუ დაბალი ხმით)?

______________________________________________

______________________________________________

**III. შეაფასეთ**, რამდენად გაართვით თავი დავალების შესრულებას, კმაყოფილი ხართ თუ არა?

______________________________________________

______________________________________________

ახსენით, რატომ?

______________________________________________

______________________________________________

რას შეცვლიდით თქვენს კომპოზიციაში – დაამატებდით კიდევ სხვა ხმოვან სიგნალს?

______________________________________________

______________________________________________